ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №55

2015 წლის 23 დეკემბერი

ქ. მცხეთა

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვის ჟურნალის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვა-ანგარიშგების წესისა და გამოსაყენებლად უვარგისი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ჩამოწერის აქტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 ივნისის № 29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვის ჟურნალის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვა-ანგარიშგების წესისა და გამოსაყენებლად უვარგისი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ჩამოწერის აქტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 ივნისის №29 დადგენილებაში (matsne.gov.ge, 010250000.35.175.016081, 17.06.2015 წ.), კერძოდ:

ა) ქალაქ მცxეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 ივნისის №29 დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“-ს 51^3, 53^3, 55-ე, 55^2, 103-ე, 146^1 მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 148-ე, 150-ე,150^1 , 151-ე, 152-ე ,153^4 მუხლით, 208-ე , 209^3 მუხლის პირველი, მესამე და მეოთხე ნაწილების, 239-ე მუხლის მე-14 და 27-ე ნაწილების, 240-ე და 240^1-ე მუხლების, „ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს 33-ე, 34-ე და 47-ე მუხლის მე-8 და მე-9 ნაწილების, „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს მე-80 და 93-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილების, ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 მარტის №16 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური დაგეგმვის, ქონების მართვის და მოსაკრებლების სამსახურის დებულების“ პირველი მუხლის პირველი პუნქტის, ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 მარტის №18 დადგენილებით დამტკიცებულ „ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების“ პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის და „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე.“.

ბ) დამტკიცდეს „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის“ ახალი ტიპური ფორმა დანართი №1-ის შესაბამისად;

გ) ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 ივნისის №29 დადგენილების „ა“ პუნქტით დამტკიცებული „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის“ ტიპიური ფორმა დანართი №1.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ილია ჯიშკარიანი

დანართი 1

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის
ოქმი №

----- ---------- 20__ წ. ---------- -------- სთ

ქ. მცხეთა

(ოქმის შედგენის თარიღი და დრო)

ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის _____
_____

(ოქმის შემდგენელი პირის თანამდებობა, სახელი, მამის სახელი და გვარი)

მონაცემები დამრღვევის შესახებ: _____

_____
_____

(სახელი, გვარი, პირადი ნომერი ან გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი, მისამართი, დაბადების ადგილი და თარიღი)

ინფორმაცია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შესახებ:

_____

_____

(ადგილი, დრო, არსი)

_____ _

(დარღვეული ნორმატიული აქტი, მუხლი, ნაწილი, პუნქტი, ქვეპუნქტი)

მოწმე (ები) (არსებობის შემთხვევაში):

1. _____

(სახელი, გვარი, მამის სახელი, მისამართი, პირადი ნომერი)

_____

(ხელმოწერა)

2. _____

(სახელი, გვარი, მამის სახელი, მისამართი, პირადი ნომერი)

_____

(ხელმოწერა)

დაზარალებულ (ებ)ი (არსებობის შემთხვევაში):

1. _____

(სახელი, გვარი, მამის სახელი, მისამართი, პირადი ნომერი)

_____

(ხელმოწერა)

2. _____

(სახელი, გვარი, მამის სახელი, მისამართი, პირადი ნომერი)

_____

(ხელმოწერა)

დამრღვევის ახსნა-განმარტება:_____

_____
_____

საქმის გადასაწყვეტად საჭირო სხვა ცნობები:_____

_____

ოქმის შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები:

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება იმ პირის თანდასწრებით, რომელიც მიცემულია ადმინისტრაციულ პასუხისგებაში. ამ პირის დაუსწრებლად საქმე შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როცა არის ცნობა მისთვის საქმის განხილვის ადგილისა და დროის დროული შეტყობინების შესახებ და მისგან არ შემოსულა შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების თაობაზე.

შენიშვნები ოქმის შინაარსის გამო:

_____
_____

(შენიშვნის შინაარსი)

სამართალდამრღვევი _____ _____

(ხელმოწერა ან ხელმოწერაზე უარის აღნიშვნა) *(თარიღი)*

ოქმის შემდგენელი _____ _____

(სახელი, გვარი, ხელმოწერა) *(თარიღი)*

ბ. ა.

დამკვეთი:

დამამზადებელი:

სფს-ს რეგისტრაციის №